სსიპ საქართველოს
კინემატოგრაფიის ეროვნული
ცენტრის დირექტორი

24 ივნისი 2024

N 160

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კონკურსის - „სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების წარმოების დაფინანსება“- ფარგლებში ფილმის პროექტების დაფინანსების შესახებ

„ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/256 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულებისა და საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის 2024 წლის 25 მარტის №05/36 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის, „კონკურსის „სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების წარმოების დაფინანსება“ გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 7 მაისის №112 ბრძანების, „კონკურსის - „სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების წარმოების დაფინანსება“ - ფარგლებში წარდგენილი განაცხადების განხილვის მიზნით საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობის (ჟიურის) შექმნის შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 3 ივნისის №135 ბრძანებისა და „კონკურსის „სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების წარმოების დაფინანსება“ ფარგლებში მეორე ეტაპზე გადასული ფილმის პროექტის განხილვის მიზნით საექსპერტო კომისიის მეორე შემადგენლობის შექმნის შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №150 ბრძანებით შექმნილი საექსპერტო კომისიის მეორე შემადგენლობის 2024 წლის 21 ივნისის დასკვნის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომ - ეროვნული კინოცენტრი) დირექტორის 2024 წლის 7 მაისის №112 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის „სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების წარმოების დაფინანსება“ - ფარგლებში დაფინანსდეს შემდეგი პროექტები:

ა) „ბრძოლა (ბერი გაბრიელი)“ - პროდიუსერი შპს „გი ემ სინემა“ (ს/ნ 400351819), რეჟისორი გიორგი კაჭარავა; დაფინანსდეს 500 000 (ხუთასი ათასი) ლარით;

ბ) „ღრუბლების იქით“ - პროდიუსერი შპს „სინემა 13“ (ს/კ 402025991), რეჟისორი თეიმურაზ ბაბლუანი და გიორგი ბაბლუანი; დაფინანსდეს 500 000 (ხუთასი ათასი) ლარით.

2. ეროვნულ კინოცენტრთან ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, პროდიუსერი ვალდებულია, ამ ბრძანების გამოცემიდან 10 თვის განმავლობაში წარმოადგინოს ,,ეროვნული ფილმის დებულების“ მე-4

მუხლით გათვალისწინებული ყველა საჭირო დოკუმენტი, მათ შორის - ალტერნატიული დაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში გადაწყვეტილება დაფინანსების თაობაზე ძალას კარგავს.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

კობა ხუბუნაია

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი